

დადგენილება №36/2021 - სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების დამტკიცების თაობაზე

დადგენილება № 36/2021
თარიღი: 26 მარტი, 2021 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 მარტის №12 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე (აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 12),

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები (დანართი 1);
2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობით საბჭოს;
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

**სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო
პროცედურები**

მუხლი 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების ორგანიზაციული საკითხები

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში - კონსერვატორია) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებს აცხადებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო.
2. არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპებია:
 - ა) თანასწორი საარჩევნო უფლება;
 - ბ) ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა;
 - გ) კენჭისყრის ფარულობა;

მუხლი 2. საარჩევნო კომისია და მისი უფლებამოსილება

1. არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით იქმნება საარჩევნო კომისია.
2. საარჩევნო კომისია შედგება 5 წევრისაგან. საარჩევნო კომისიის წევრთა შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
3. საარჩევნო კომისია ვალდებულია, არჩევნები ჩაატაროს კონსერვატორიის წესდებისა და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით.

მუხლი 3. კომისიის თანამდებობის პირები

1. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე მისივე შემადგენლობიდან კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ახორციელებს მის კომპეტენციაში შემავალ სხვა უფლებამოსილებებს, რაც განისაზღვრება საარჩევნო კომისიის დებულებით.

3. კომისიის მდივანი ადგენს კომისიის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შეტანილ კორესპონდენციას, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმებს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს, რაც განისაზღვრება საარჩევნო კომისიის დებულებით.

4. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობა. საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმების საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

5. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის სხვა წევრები ამ წესით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის შესაძლებელია იღებდნენ ანაზღაურებას.

მუხლი. 4 ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებების მიღების წესი

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების მსურველი პირი განცხადებით მიმართავს აკადემიურ საბჭოს.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავების მსურველმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;

ე) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ვ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;

ზ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა

3. წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა შეიძლება დაზუსტდეს აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

მუხლი. 5 კანდიდატთა რეგისტრაცია

1. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს აკადემიური საბჭოს შესაბამის დადგენილებაში მითითებული ვადებში. რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში კანდიდატი უფლებამოსილია ხარვეზი გამოასწოროს 1 დღის განმავლობაში.

2. კანდიდატი უფლებამოსილია რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს გაცნობიდან 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებით გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს 1 დღის განმავლობაში.

3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი დადგენილ ვადაში სრულყოფილად წარმოადგენს ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტითა და აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

მუხლი 6. არჩევნების პროცედურა

1. კენჭისყრის პროცედურა საჯაროა და მასზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ აკრედიტებულ პირს.
2. ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე.
3. ფარული კენჭისყრისათვის უნდა მოეწყოს კაბინა, რომლის ფორმას განსაზღვრავს საარჩევნო კომისია. უნდა გამოიყოს ადგილი ამომრჩეველთა რეგისტრაციისა და საარჩევნო ბიულეტენების დამოწმებისათვის. გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი უნდა იდგეს თვალსაჩინო ადგილზე.
4. საარჩევნო კომისიამ თვალსაჩინო ადგილას უნდა გამოაკრას კანდიდატის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი და ბიულეტენის ბათილობის საფუძვლები.
5. საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერით დადასტურებული საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, პირადობის მოწმობის, პასპორტის ან მართვის მოწმობის წარდგენის შემდეგ.
6. ბიულეტენის გაცემა დასტურდება ამომრჩეველთა სიაში კომისიის წევრის ხელმოწერით. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით.
7. თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პირადად, დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა პირის ნაცვლად.
8. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანმიმდევრობის დაცვით:
 - ა) კენჭისყრის ოთახში შემოსული ამომრჩეველი მიდის სარეგისტრაციო მაგიდასთან და წარადგენს წინამდებარე წესის მე-6 მუხლით მე-5 პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტაციას;
 - ბ) კომისიის წევრი ამომრჩევლის სიაში ყოფნის დადასტურების შემთხვევაში ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის გაცემას.
 - გ) კომისიის წევრი ხელს აწერს ბიულეტენის უკანა მხარეს;
 - დ) შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს ბიულეტენს. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენზე მოცემული კითხვის შესაბამისად არჩევანს აფიქსირებს „დიახ“ ან „არა“-ს გასწვრივ შესაბამისი რიგითი ნომრის წრიულად შემოხაზვით. ბიულეტენის შევსების შემდეგ ამომრჩეველმა ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა ხმა;
 - ე) საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა იკრძალება.

9. თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით დაეწერება „გაფუჭებულია“.

10. ბიულეტენების რაოდენობა უნდა უტოლდებოდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების რაოდენობას, რომელსაც ემატება 5 (ხუთი) სარეზერვო ბიულეტენი. სარეზერვო ბიულეტენები გამოიყენება გამოუყენებელი ბიულეტენის დაზიანების შემთხვევაში.

მუხლი 7. არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები, თვალსაჩინო ადგილას ხსნიან საარჩევნო ყუთს, ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა. საარჩევნო კომისიის მდივანს მონაცემები შეაქვს შემაჯამებელ ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის წევრები. არჩევნების შედეგებს აცხადებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

2. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი და საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს.

3. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა ბიულეტენზე საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) არ არის დაცული საარჩევნო ბიულეტენზე მოცემული კითხვის შესაბამისად „დიახ“ ან „არა“-ს გასწვრივ შესაბამისი რიგითი ნომერი წრიულად შემოხაზული.

4. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;

ბ) არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა;

ე) გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა;

ვ) გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა;

ზ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

თ) კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა (დადებითი და უარყოფითი ხმების რაოდენობა ცალ-ცალკე);

ი) ბათილი ბიულეტენების რაოდენობა;

კ) კომისიის წევრების ხელმოწერა;

ლ) საარჩევნო კომისიის წევრის განსხვავებული აზრი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

მუხლი 8. არჩევნების ჩატარების ალტერნატიული პროცედურები

1. ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებას, შეკრებას ან/და განსაზღვრავს კოლექტიური ორგანოების მუშაობის ფიზიკური მუშაობის ფორმატისგან განსხვავებულ ფორმატს და შესაბამისად წინამდებარე საარჩევნო პროცედურით გათვალისწინებული დებულებების შესრულების უზრუნველყოფას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საარჩევნო პროცედურა აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აუცილებლობის არსებობისას და აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში:

2.1 წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ტარდება დისტანციურად, კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით;

2.2. ფარული არჩევნები უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით

2.3. მე-4 მუხლით გათვალისწინებული განცხადებისა და განცხადების დანართების წარმოდგენა შესაძლებელია ელექტრონულად, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრულ შესაბამის ელ. საფოსტო მისამართზე, აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული ფორმატით;

2.4. კენჭისყრის პროცედურა ტარდება მე-6 მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტების, მე-8, მე-9, მე-10 პუნქტებისა და მე-7 მუხლის დებულებების გათვალისწინების გარეშე, ხმის მიცემის ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რომელიც უზრუნველყოფს ხმის მიმცემის სრულფასოვან იდენტიფიკაციას (მათ შორის პირადობის მოწმობის წარდგენით) და ხმის მიცემის სრულ ფარულობას;

2.5. ამომრჩეველს ხმის მიცემის მიზნით საარჩევნო პროგრამაში შესვლა შეუძლია მხოლოდ ერთხელ;

2.6. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემაჯამებელი ოქმი საარჩევნო კომისიის მიერ ივსება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

2.6.ა) ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით და შესაბამისად დარეგისტრირებული user-ით, რომელიც ემთხვევა კონსერვატორიის ოფიციალურ ელ ფოსტას;

2.6.ბ) კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა;

2.6.გ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ხმების რაოდენობა;

2.6.დ) შესაბამისი კომპიუტერული პროგრამით მიღებული ისეთი ხმების რაოდენობა, სადაც გაურკვეველია ხმის მიმცემის არჩევანი - ბათილი ხმა;

2.6.ე) კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების (დადებითი და უარყოფითი) რაოდენობა;

2.6.ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა

2.7.ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრით არჩევნების უზრუნველყოფ კომპიუტერულ პროგრამაში და ონლაინ საარჩევნო ბიულეტენზე მოცემული კითხვის შესაბამისად აჭერს „დიახ“ ან „არა“-ს შესაბამის ღილაკს და ადასტურებს არჩევანს შესაბამის ღილაკზე დაჭერით (დაკლიკებით).

მუხლი 9. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან არჩევნების არა უგვიანეს 3 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.

2. იურიდიული პირი არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსს განახორციელებს მისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელთა ვინაობა მიეთითება დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად წარდგენილ განცხადებაში.

3. პირი არ დაიშვება დამკვირვებლად, თუ იგი არის:

ა) ასარჩევი კანდიდატი;

ბ) ადმინისტრაციული პერსონალის წევრი;

4. დამკვირვებელი უფლებამოსილია დაესწროს საარჩევნო კომისიის მუშაობას არჩევნების დღეს და საჩივრის განხილვის პროცესში. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიუთითოს კომისიის თავმჯდომარეს და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა.

5. დამკვირვებელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას.

6. საარჩევნო კომისიები ვალდებულნი არიან ხელი არ შეუშალონ დამკვირვებელს.

7. საარჩევნო კომისიის მდივანი გასცემს აკრედიტაციის დამადასტურებელ დოკუმენტს. მედია საშუალებების განთავსებისა და აკრედიტაციის საკითხს წყვეტს საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე ან/და მდივანი გამარტივებული წესით, სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 10. დარღვევის ოქმი

არჩევნების დღეს ამ დადგენილებით განსაზღვრული წესის დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, ამომრჩეველი უფლებამოსილია შეადგინოს დარღვევის ოქმი, რომელშიც მიეთითება:

- ა) ოქმის შემდგენი პირის სახელი, გვარი, მისამართი;
- ბ) ოქმის შემდგენი პირის სტატუსი;
- გ) დარღვევის შინაარსი;
- დ) დარღვევის დაფიქსირების დრო;
- ე) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა ან აღნიშვნა მის ხელმოწერაზე უარის თქმის შესახებ;
- ვ) ოქმის შემდგენი პირის მოთხოვნა;
- ზ) ოქმის შემდგენი პირის ხელმოწერა.

მუხლი 11. არჩევნების შედეგების გამოცხადება

არჩევნების შედეგები ცხადდება არჩევნების დღეს.

მუხლი 12. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. არჩევნების შედეგები საჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესი

მუხლი 13. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

არჩევნების შედეგები განთავსდება კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge.